

„გამტკიცებ“

საქართველოს ქუდოს ეროვნული
ფედერაცია



25 თებერვალი 2021 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა
(განახლებული ვერსია 25.02.2021)

საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებში
(გაუები)

2021 წელი
4-7 მარტი
თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ჭაბუკთა (ვაჟები) ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2004-2005 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები. (2006 წელს დაბადებულები არ დაიშვებიან).

IV. რეგისტრაცია, შეჯიბრების ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებ გვერდიდან (<http://gjf.ge/geo/calendar/georgia>) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2021 წლის 24 თებერვლის ჩათვლით ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 26 თებერვალს ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებული არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის დროს.
- აწონვის დროს მონაწილე სპორტსმენებმა და მათმა მწვრთნელებმა სავალდებულოა წარმოადგინონ სწრაფი ანტიგენის ტესტის (COVID-19-ის ტესტი) უარყოფითი პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე.
- შეჯიბრება ჩატარდება 2021 წლის 5-7 მარტს.
- ჩემპიონატის ჩატარების ადგილი. ქ. თბილისი, ბელიაშვილის 38, ძიუდოს აკადემია.
- ჩამოსვლის დღე – 4 მარტი, წასვლის დღე – 8 მარტი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10.00 საათი.

რეგულაციები პანდემიასთან დაკავშირებით

- ჩემპიონატში მონაწილე ყველა პირი (ძიუდოისტები, მწვრთნელები) ვალდებულია წარმოადგინოს ბოლო 24 საათში გაკეთებული სწრაფი ანტიგენის ტესტის (COVID-19-ის ტესტი) უარყოფითი პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე. ძიუდოისტები ტესტის პასუხებს წარმოადგენენ აწონვაზე.
- ჩემპიონატის მიმდინარეობისას ძიუდოს აკადემიის მთელ ტერიტორიაზე ყველა პირი ვალდებულია ატაროს პირბადე. ძიუდოისტებს პირბადის მოხსნა შეუძლიათ ტატამზე შესვლის წინ.
- ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციის გამო შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან მაცურებლები.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ჩემპიონატი ჩატარდება შესარჩევი ტურნირის გარეშე.
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში:
-50კგ; -55კგ; -60კგ; -66კგ; -73კგ; -81კგ; -90კგ; +90კგ;
5 მარტი – -50კგ; -55კგ; -60კგ;

6 მარტი - -66კგ; -73კგ;
7 მარტი - -81კგ; -90კგ; +90კგ;

VI. აწონვა

ქ. თბილისი, ბელიაშვილის 38, ძიუდოს აკადემია

4 მარტი - -50კგ, -55კგ, -60კგ.

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე; ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

5 მარტი - -66კგ; -73კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე; ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

6 მარტი - -81კგ; -90კგ; +90კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე; ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

VII. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VIII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება (ტატამის გაწეობა), საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი, მსაჯთა და ორგანიზატორთა სასტუმრო და კვება, დაცვის მომსახურება, მედპერსონალის ხელფასი, კოვიდ-რეგულაციების უზრუნველყოფა და სხვადასხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: 2 51 64 66;

საკონტაქტო პირი - 577 99 44 07 ზურაბ უსუფაშვილი

საკონტაქტო პირი - 577 61 37 80 გიორგი ყიზილაშვილი

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა ლურჯი და თეთრი ფერის კიბანოს ქონა.
- პირად მწვრთნელებს მიეცეთ მითითება არ დაუშვან იმ სპორტსმენთა მონაწილეობა, რომელთა წონა საშეჯიბრო წონასთან მიმართებაში არის ორი კილოგრამით მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მიუხედავად სპორტსმენის მიერ დაკავებული საპრიზო ადგილისა მას აეკრძალოს ასპარეზობა სხვადასხვა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებზე.

ფედერაციის პრეზიდენტი



გიორგი ათაბეგაშვილი